

**ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული  
დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის  
სხდომის ოქმი N9**

ქ. ლანჩხუთი

18.10.2024 წელი  
12.00 საათი

**სხდომას ესწრებოდნენ:** საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის სხდომის თავმჯდომარე **გიორგი იმნაიშვილი**.

**კომისიის წევრები:** ელისო ჭიჭინაძე, ლოლიტა ურუშაძე, სპარტაკ კვაჭაძე, კახა თედორაძე, ზაზა წულაძე.

**მოწვეული სტუმრები:** საკრებულოს თავმჯდომარე **ბესიკ ტაბიძე**, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი **როლანდ ლაშხია**, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში **ლაშა სარჯველაძე**, საკრებულოს აპარატის მეოთხე რანგის პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი **ნინო ებრაღიძე**.

**სხდომის თავმჯდომარემ**, გიორგი იმნაიშვილმა, სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი მოსაკრებლების შემოღების, გადახდის ინსტრუქციის, დაგვა-დასუფთავების და ნარჩენების განკარგვის წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 31 ივლისის N34 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვა.

**/მომხსენებელი: გიორგი იმნაიშვილი/**

2. სხვადასხვა.

**სხდომის თავმჯდომარემ**, გიორგი იმნაიშვილმა კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს: მომხრე 6; წინააღმდეგი: არც ერთი.

**დღის წესრიგის პირველ საკითხზე:** „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი მოსაკრებლების შემოღების, გადახდის ინსტრუქციის, დაგვა-დასუფთავების და ნარჩენების განკარგვის წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 31 ივლისის 34 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი კომისიას გააცნო ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი როლანდ ლაშხიამ. აღნიშნა, რომ მუხლი 1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი მოსაკრებლების შემოღების, გადახდის ინსტრუქციის, დაგვა-დასუფთავების და ნარჩენების განკარგვის წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 31 ივლისის 34 დადგენილებაში შევიდეს ცვლილება და დადგენილების მე-5 მუხლის „ე“ პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ე) ლატარიების მოწყობაზე ლატარიის რეალიზებული ბილეთების ჯამურ ღირებულებასა და საპრიზო ფონდს შორის სხვაობის 10%“.


დადგენილების პროექტი, კომისიის წევრების მიერ მიღებული იქნა შენიშვნების გარეშე.  
**სხდომის თავმჯდომარემ**, გიორგი იმნაიშვილმა კენჭი უყარა დადგენილების პროექტს;

მომხრე 6; წინააღმდეგი: არც ერთი.

## 2. სხვადასხვა.

ამით კომისიამ მუშაობა დაასრულა.

საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული  
დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის  
კომისიის თავმჯდომარე:



/გიორგი იმნაიშვილი/

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს  
სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისია

2800 lanCxuTi, kostavas 37 0 494 22 30 19

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული  
დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის

სხდომის დასკვნა N9

ქ. ლანჩხუთი

18.10.2024 წ.

2024 წლის 17 ოქტომბერს მოწვეული იქნა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის სხდომა.

სხდომამ განიხილა დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი მოსაკრებლების შემოღების, გადახდის ინსტრუქციის, დაგვა-დასუფთავების და ნარჩენების განკარგვის წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 31 ივლისის N34 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვა.









**დღის წესრიგის პირველ საკითხზე:** „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი მოსაკრებლების შემოღების, გადახდის ინსტრუქციის, დაგვა-დასუფთავების და ნარჩენების განკარგვის წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 31 ივლისის N34 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი წარმოდგენილი სახით გადაეცეს საკრებულოს სხდომას განსახილველად.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს  
სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და  
ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე:

გიორგი იმნაიშვილი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს  
 სივრცით - ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის  
 კომისიის სარეგისტრაციო ფურცელი

18.10.2024 წელი  
 12:00 საათზე.

	სახელი, გვარი	დაწყების დრო	ხელმოწერა
1.	სხდომის თავმჯდომარე გიორგი იმნაიშვილი	11:50	
2.	ემზარ თევდორაძე	ახ. ენსეპოს	
3.	სპარტაკ კვაჭაძე	11:59	
4.	ელისო ჭიჭინაძე	11:50	
5.	კახა თედორაძე	12:00	
6.	ლოლიტა ურუშაძე	12:00	
7.	ზაზა წულაძე	11:50	
8.	გივი ცინცაძე	ახ. ენსეპოს	
9.	ჯუმბერ ბლაგიძე	ახ. ენსეპოს	